“დინამო” (თბილისი) – “ლოკომოტივი” (მოსკოვი)

2 ივნისს თბილისის ლ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე ჩატარდა საკავშირო პირველობის გათამაშების მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის “ლოკომოტივისა” და თბილისის “დინამოს” გუნდები.

თბილისელებმა დაცვაში გამოიყვანეს ახალგაზრდა მოთამაშე მაჭავარიანი, ზაზროშვილი ნაცვლად შუამარბისა თამაშობდა მარცხენა გარემარბად, ხოლო კიკნაძე შეცვლილ იქნა ჭელიძით.

თამაშის დასაწყისშივე ცხადი გახდა, რომ “ლოკომოტივის” დაცვა ვერ გაუძლებდა “დინამოს” თავდამსხმელთა თავბრუდამხვევ იერიშს. სრულიად უმწეო იყო მოსკოველთა მეკარე ხოდინსკი, რომელიც მხოლოდ იმის შემდეგ აკეთებდა ნახტომებს, როცა ბურთი უკვე ბადეში იყო გახვეული. საფიქრებელი იყო, რომ “ლოკომოტივი” მას შემდეგ, რაც თამაშის პირველი ნახევარი თბილისელებმა მოიგეს “მშრალი” ანგარიშით (3:0), აძლიერებდა დაცვის ხაზს. მოხდა კი საწინააღმდეგო – მოსკოველებმა მეექვსე ნომერიც წამოსწიეს თავდასხმაში და ამან შესაძლებლობა მისცა თბილისელებს დამატებით ექვსი ბურთი გაეტანათ “ლოკომოტივის” კარში.

თამაშის დასაწყისშივე დინამოელთა თავდასხმის ხუთეული ენერგიულ შეტევაზე გადავიდა და ა. ზაზროშვილმა მძლავრი კუთხური გარტყმით გაიტანა პირველი ბურთი. მცირე ხნის შემდეგ არაშიძე პირისპირ დარჩა მეკარე ხოდინსკისთან და ახლო მანძილიდან შესძლო ანგარიშის გადიდება. კიდევ რამდენიმე წუთი და გ. ჯეჯელავამ ბრწყინვალედ დააგვირგვინა ლამაზი კომბინაცია.

თამაშის მეორე ნახევარიც თბილისელთა აშკარა უპირატესობით ჩატარდა. გ. ჯეჯელავამ, ზაზროშვილმა და ანთაძემ ორ–ორი ბურთი გაიტანეს “ლოკომოტივის” კარში. მთელ მატჩში ზუსტი და მოუქანცველი თამაშით გამოირჩეოდა ღოღობერიძე. იგი დამცველებსაც შველოდა და მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზეც ქმნიდა მეტად სახიფათო მომენტებს, რომელთა შედეგადაც დინამოელთა თავდამსხმელებმა რამდენიმე ბურთი გაიტანეს.

მიუხედავად ასეთი გამარჯვების მოპოვებისა, თბილისელებმა ამ მატჩშიც დაუშვეს შეცდომა. წარმატებით გათამამებული “დინამოს” დამცველები მეტწილად მოედნის ცენტრში და ზოგჯერ “ლოკომოტივის” საჯარიმო მოედანზე ტრიალებდნენ და თავიანთ კარს მარტოდმარტო მარღანიას ამარა ტოვებდნენ. ასეთი შეცდომის შედეგად “ლოკომოტივის” თავდამსხმელებმა თბილისელთა კარში ზედიზედ გაიტანეს ორი საპასუხო ბურთი. უნდა აღინიშნოს, რომ “ლოკომოტივის” თავდამსხმელები არც ისე იშვიათი სტუმრები იყვნენ “დინამოს” საჯარიმო მოედნისა, მაგრამ მეკარე მარღანიას სიზუსტემ და ენერგიულობამ არ მისცა მათ საშუალება გაედიდებინათ ანგარიში.

ხუთი მატჩიდან თბილისის ”დინამომ” მოაგროვა 8 ქულა. გუნდი მორიგ მატჩს ჩაატარებს 8 ივნისს მოსკოვში, სადაც შეხვდება მოსკოვის “დინამოს”.

“კომუნისტი”, 4 ივნისი, 1948 წ.